ეთნოგეოგრაფიის სტრუქტურა

ზურაბ დავითაშვილი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

ეთნოგეოგრაფია არის ინტერდისციპლინური მეცნიერება, რომელიც ეთნოლოგიასა და გეოგრაფიას შორის მდებარეობს. ერთი მხრივ, ეს არის დარგი, რომელიც სწავლობს ეთნიკური ჯგუფების ტერიტორიულ განაწილებას და წარმოადგენს მოსახლეობის გეოგრაფიის ნაწილს. უფრო ფართო გაგებით კი, ეს არის დამოუკიდებელი დისციპლინა, რომელიც ადამიანის გეოგრაფიის ყველა სფეროს ეთნიკური პერსპექტივიდან იკვლევს.

ამ სტატიაში ეთნოგეოგრაფია განხილულია მეორე, უფრო ფართო გაგებით და ხდება მცდელობა დარგის სტრუქტურირებისა. გამოიყოფა ეთნოგეოგრაფიის ექვსი შემადგენელი დარგი:

1. ისტორიული ეთნოგეოგრაფია;
2. მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია;
3. კულტურის ეთნოგეოგრაფია;
4. ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია;
5. სოციალური ეთნოგეოგრაფია;
6. პოლიტიკური ეთნოგეოგრაფია.

თითოეული დარგი მოიცავს რამდენიმე ქვედარგს. მაგალითად, მოსახლეობის ეთნოგეოგრაფიაში შეიძლება გამოიყოს დემოგრაფიული ეთნოგეოგრაფია, მიგრაციების ეთნოგეოგრაფია, ურბანული ეთნოგეოგრაფია და სხვა. პოლიტიკურ ეთნოგეოგრაფიაში შეიძლება გამოიყოს ისეთი ქვედარგები, როგორიცაა საარჩევნო ეთნოგეოგრაფია და ეთნიკური გეოპოლიტიკა. სტატიაში აღწერილია ეთნოგეოგრაფიის ძირითადი დარგების და ქვედარგების არსი.

საკვანძო სიტყვები: ეთნოგეოგრაფია, სოციალური, ეკონომიკური, კულტურა, პოლიტიკა

THE STRUCTURE OF ETHNOGEOGRAPHY

Zurab Davitashvili
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Abstract

Ethnogeography is an interdisciplinary science situated between ethnology and geography. In one sense, it is a field that studies the territorial distribution of ethnic groups and constitutes a part of geography of population. In a broader sense, however, it is an independent discipline that examines all spheres of human geography from an ethnic perspective.

In the present article, ethnogeography is examined in this second, broader sense, and an attempt is made to structure the field. Six constituent branches of ethnogeography are identified:

1. Historical ethnogeography;
2. Ethnogeography of population;
3. Ethnogeography of culture;
4. Economic ethnogeography;
5. Social ethnogeography;
6. Political ethnogeography.

Each of these branches includes several subfields. For example, within the ethnogeography of population, one may distinguish demographic ethnogeography, ethnogeography of migrations, urban ethnogeography and others. In political ethnogeography, subfields such as electoral ethnogeography and ethnic geopolitics can be identified. The article provides a brief overview of the main branches and subfields of ethnogeography.

Keywords: Ethnogeography, Social, Economic, Culture, Politics

შესავალი

ეთნოგეოგრაფია, ფართო გაგებით ეთნიკურ ასპექტში განხილული საზოგადოებრივი გეოგრაფიაა. ამდენად იგი რთული და კომპლექსური მეცნიერებაა და ისეთივე მრავალმხრივი და რთული სტრუქტურით ხასიათდება, როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფია მთლიანად. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ეთნოგეოგრაფიის შემადგენელი დარგები, როგორც წესი, თავიანთ სახელწოდებაში სამი მეცნიერების კომბინაციით არიან წარმოდგენილი და თეორიულად შესაძლებელია თითოეული მათგანი ექვსი ვარიანტის სახით იყოს გამოხატული. მაგალითისათვის ავიღოთ ისტორიული ეთნოგეოგრაფია. გარდა ამ სახელწოდებისა, იგი შეიძლება იწოდებოდეს, როგორც ეთნოისტორიული გეოგრაფია, ეთნოგეოგრაფიული ისტორია, გეოეთნოლოგიური ისტორია, გეოისტორიული ეთნოლოგია და ისტორიული გეოეთნოლოგია.

თუ საკითხს ძალზე სკრუპულოზურად მივუდგებით ალბათ შევძლებთ, რომ თითოეული მათგანისთვის ვიპოვოთ რაიმე განსხვავებული ნიშნები და, შესაბამისად, ექვსი სხვადასხვა მეცნიერული მიმდინარეობის შესახებ ვიმსჯელოთ. კერძოდ, ისტორიული ეთნოგეოგრაფია მივიჩნიოთ ისტორიულ ასპექტში განხილულ ეთნოგეოგრაფიად, ხოლო ეთნოისტორიული გეოგრაფია ეთნიკურ ასპექტში განხილულ ისტორიულ გეოგრაფიად. ორივე მათგანი კი გეოგრაფიის შემადგენელ დარგებად ჩათვალოთ. ანალოგიურად ისტორიის შემადგენელ ნაწილებად განვიხილოთ ეთნოგეოგრაფიული ისტორია და გეოეთნოლოგიური ისტორია, იმ განსხვავებით, რომ პირველი მათგანი ეთნიკურ ასპექტში განხილული გეოისტორიაა, ხოლო მეორე კი გეოგრაფიულ ასპექტში განხილული ეთნიკური ისტორია. დაბოლოს, ეთნოლოგიის შემადგენელ ნაწილებად მივიჩნიოთ გეოისტორიული ეთნოლოგია, რომელიც გეოგრაფიულ ასპექტში შეისწავლის ისტორიულ ეთნოლოგიას და ისტორიული გეოეთნოლოგია, რომელიც ისტორიულ ასპექტში განხილული გეოეთნოლოგიაა.

ცხადია, საკითხისადმი ასე ჩაღრმავებას მხოლოდ და მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვს და პრაქტიკულად თითქმის არ გამოიყენება. მით უფრო, რომ რეალურად განსხვავება ჩვენ მიერ გამოყოფილ ექვს მიმართულებას შორის უმნიშვნელოა. ამდენად, როგორც წესი, ერთი მეცნიერება სრულიად საკმარისია, რომ მთლიანად მოიცვას ექვსივე განხილული მიმართულების ძირითადი ნიუანსები. ერთგვარი სირთულე იქმნება თუ როგორ ეწოდოს ამ მეცნიერებას, ანუ როგორი თანმიმდევრობით განლაგდეს მისი შემადგენელი მეცნიერებების აღმნიშვნელი ტერმინოელემენტები. ჩვენ მიგვაჩნია, რომ რადგან ლაპარაკია ეთნოგეოგრაფიის, როგორც მეცნიერების სტრუქტურაზე, ტერმინი „ეთნოგეოგრაფია“ ყოველთვის უნდა იყოს საზღვრულის როლში, ხოლო მსაზღვრელის როლში ის ტერმინოელემენტი, როგორ ასპექტშიც განიხილება ეთნოგეოგრაფია. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ტერმინი „ისტორიული ეთნოგეოგრაფია“, „ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია“ და ა. შ.

აქ შეიძლება სადავო იყოს საკითხი: – არის ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია ეკონომიკურ ასპექტში განხილული ეთნოგეოგრაფია თუ ის ეთნიკურ ასპექტში განხილული ეკონომიკური გეოგრაფიაა. ჩვენ მიგვაჩნია, რომ საკითხის ასე ცალსახად დაყენება გამართლებული არ არის. ეთნოგეოგრაფია თავისთავად არის ეთნიკურ ასპექტში განხილული გეოგრაფია და, ამდენად, იგი ეთნიკურ ასპექტში განიხილავს ეკონომიკურ გეოგრაფიასაც, პოლიტიკურ გეოგრაფიასაც და სოციალურ გეოგრაფიასაც. ტერმინი ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია იმის მანიშნებელია, რომ ეთნოგეოგრაფია განიხილება ეკონომიკურ ასპექტში, ხოლო ეკონომიკური გეოგრაფია ეთნიკურ ასპექტში. ამდენად, იგი ეკონომიკურ და ეთნიკურ ასპექტებში განხილული გეოგრაფიაა. ცხადია, შეიძლება გამოგვეყენებინა ტერმინი „ეთნიკური ეკონომიკური გეოგრაფია“ და „ეთნიკური ისტორიული გეოგრაფია“, მაგრამ ვფიქრობთ, რომ „ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია“ და „ისტორიული ეთნოგეოგრაფია“ უფრო მოსახერხებელი და გამართლებულია (ზ. დავითაშვილი 2020).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ეთნოგეოგრაფიის შემადგენელ ელემენტებად შე-

იძლება მივიჩნიოთ შემდეგი სამეცნიერო მიმართულებები.

1. ისტორიული ეთნოგეოგრაფია;
2. მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია (დემოეთნოგეოგრაფია);
3. კულტურის ეთნოგეოგრაფია;
4. ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია;
5. სოციალური ეთნოგეოგრაფია;
6. პოლიტიკური ეთნოგეოგრაფია.

თითოეულ მათგანში გამოიყოფა ცალკეული დარგები და ნაწილები, რაც, საბოლოო ჯამში, საკმაოდ რთულ სტრუქტურას გვაძლევს.

კვლევის მეთოდები

სტატაზე მუშაობისას გამოვიყენეთ ქართველ და უცხოელ მეცნიერთა სამეცნიერო წყაროები, გეოგრაფიული ანალიზისა და სინთეზის მეთოდები, გეოგრაფიული თეორიები და კონცეფციები, გეოგრაფიული კვლევის როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე მეთოდები, რაც საკითხის კომპლექსურად გაანალიზების შესაძლებლობას იძლევა.

შედეგები

1. ისტორიული ეთნოგეოგრაფია

ისტორიული ეთნოგეოგრაფია ისტორიის, ეთნოლოგიის და გეოგრაფიის მიჯნაზე ჩამოყალიბებული მეცნიერებაა, რომელიც, ფართო გაგებით, ისტორიულ ასპექტში განხილულ მთელ ეთნოგეოგრაფიას მოიცავს. ცხადია, ეთნოგეოგრაფიის ნებისმიერი მიმართულება, იქნება ეს მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია, კულტურის ეთნოგეოგრაფია, ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია, სოციალური ეთნოგეოგრაფია თუ პოლიტიკური ეთნოგეოგრაფია შეიძლება განვიხილოთ ისტორიულ ასპექტში. ასეთ შემთხვევაში, ისტორიული ეთნოგეოგრაფია ეთნოგეოგრაფიის კვლევის საგანს და ობიექტს მთლიანად „დაფარავს“, მაგრამ წარსულ დროში.

გარდა ისტორიული ეთნოგეოგრაფიის ფართო გაგებისა, არსებობს ამ მეცნიერების მეორე, უფრო ვიწრო გაგებაც. ეს უკანასკნელი შეისწავლის ეთნოსების განსახლების სივრცითი თავისებურებების ცვლილებებს დროში, რაც, ფაქტობრივად, ეთნიკური რუკის ფორმირებისა და განვითარების ისტორიაა. გარდა ამისა, ისტორიული ეთნოგეოგრაფიის ამოცანაა შეისწავლოს გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა ეთნოსის ჩამოყალიბებასა და მის ისტორიაზე.

ამგვარად, ისტორიული ეთნოგეოგრაფია (ვიწრო გაგებით) შეიძლება ორი სახით წარმოვიდგინოთ – *ეთნოსის ისტორიული გეოგრაფია და ეთნიკური რუკის ისტორია*.

ეთნოსის ისტორიული გეოგრაფია ისტორიული ეთნოგეოგრაფიის ის დარგია, რომელიც შეისწავლის გეოგრაფიული გარემოს როლსა და გავლენას ცალკეული ეთნოსების ჩამოყალიბებაზე (ეთნოგენეზისზე) და მათ ტერიტორიულ და ისტორიულ განვითარებაზე.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველ ეთნოსს თავისი საკუთარი ისტორიული გეოგრაფია აქვს, რადგან თითოეული მათგანისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალური ისტორია და გეოგრაფია, რაც მას გამოარჩევს სხვა ეთნოსისაგან. სწორედ ეს მრავალფეროვნება განსაზღვრავს ეთნიკური ისტორიული გეოგრაფიის სირთულეს და მოზაიკურობას.

ეთნოსის ისტორიული გეოგრაფიის ამოცანაა შეისწავლოს ცალკეული ეთნოსების ფორმირებაზე და განვითარებაზე გეოგრაფიული ფაქტორების გავლენა, მთელი მისი მრავალფეროვნებითა და თავისებურებებით, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. გაცილებით რთულია მოინახოს ზოგადი კანონზომიერებები, რომელიც საერთო იქნება ყველა ეთნოსისათვის და საფუძვლად დაედება ეთნოსის ისტორიული გეოგრაფიის თეორიას (ზ. დავითაშვილი 2022).

ასეთ მცდელობად უნდა მივიჩნიოთ ლ. გუმილიოვის შრომები (Гумилев Л.Н 1990, Гумилев Л. Н. 1994), სადაც ავტორი გვთავაზობს ჰიპოთეზას ეთნოგენეზსა და ეთნოსების გეოგრაფიასა და ისტორიის შესახებ. ლ. გუმილიოვს მიაჩნია, რომ ეთნოსი არის გეოგრაფიულ-ბიოლოგიური ფენომენი, რომელიც ფორმირდება გარკვეულ ლანდშაფტში და სწორედ ამ ლანდშაფტის შესაბამისად ყალიბდება მისი ქცევის სტერეოტიპი. რაც მთავარია, ეთნოგენეზისი იწყება გარკვეული კოსმოსური (გეობიოქიმიური) დასხივების შედეგად წარ-

მოქმნილი ე. წ. პასიონარული (Passio – მგზნებარება) მუხტით. პასიონართა (ანუ ისეთი პიროვნებები, რომლებიც მზად არიან გაწირონ თავიანთი თავი იდეისათვის, თანაც ისე, რომ ამისათვის არ ითხოვენ არა თუ მატერიალურ ანაზღაურებას, არამედ სახელის გახმაურებასაც კი) რიცხვი ეთნოსში განსაზღვრავს ეთნოსის განვითარების ფაზებს. პირველ ფაზებში პასიონართა რიცხვი დიდია და ეს პერიოდი ეთნოსის აყვავების პერიოდია. ხდება მისი ექსპანსია, ახალი ტერიტორიების ათვისება, პოლიტიკური და ეკონომიკური გაძლიერება. შემდეგ ფაზებში კი პასიონართა რიცხვი კლებულობს, რაც თავდაპირველი პასიონარული ბიძგით წარმოქმნილი ენერგიის დახარჯვის შედეგია, ამის გამო, ეთნოსი გადადის ინერციული განვითარების ფაზაში, რასაც ბოლოს მოსდევს ეთნოსის დასუსტება, წინააღმდეგობის გაწევის უნარის დაკარგვა და ბოლოს სიკვდილი (სხვა ეთნოსთან შერწყმა).

ლ. გუმილიოვის აზრით ზემოწარმოდგენილი სქემა უნივერსალური კანონზომიერებაა და ნებისმიერი ეთნოსი ასეთ გზას გაივლის. ცხადია, აღნიშნულ ჰიპოთეზაში ბევრი საეჭვო დებულებაა, ხოლო მთელი რიგი ეთნოსები ასეთ მოდელში უბრალოდ ვერ თავსდებიან. მიუხედავად ამისა, იგი მაინც ძალიან საინტერესოა და, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელიც ცდილობს თეორიულად ახსნას ეთნოსთა ისტორიულ-გეოგრაფიული განვითარების კანონზომიერებები.

ეთნიკური რუკის ისტორია ეთნოსთა ისტორიული გეოგრაფიის კონკრეტული სივრცით-დროითი გამოვლენაა. მისი ამოცანაა შეისწავლოს ეთნოსთა ტერიტორიული განსახლება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებში და მათი ცვალებადობა დროში. ამასთანავე, სწავლობს იმ მიზეზებსა და თავისებურებებს, რომლებიც განაპირობებენ ეთნიკური რუკის ცვლილებებს. კერძოდ კონსოლიდაციის, ასიმილაციის, მიქსაციის, სეპარაციის თუ პარციაციის პროცესებს. ეთნიკური რუკის ისტორიულ-გეოგრაფიულ შესწავლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ კანონზომიერებების გამოვლენას, რომლებიც შეიმჩნევა სხვადასხვა პერიოდებისა და რეგიონების ეთნიკური რუკების შედარებისას, კერძოდ ეთნიკური რუკის ცვალებადობის ტენდენციების დადგენას და მის პროგნოზირებას.

2. მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია (დემოეთნოგეოგრაფია)

მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია ეთნიკური კუთხით განხილული მოსახლეობის გეოგრაფიაა, რომელიც შეისწავლის ყველა საკითხს, რაც მოსახლეობას გეოგრაფიის კვლევის სფეროში ხვდება, ოღონდ მათ ეთნიკურ ასპექტში იკვლევს. მოსახლეობის ეთნოგეოგრაფიის სინონიმად შეიძლება მივიჩნიოთ ტერმინი დემოეთნოგეოგრაფია (ისევე როგორც დემოგეოგრაფია ზოგადად მოსახლეობის გეოგრაფიის სინონიმია), მაგრამ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ზოგიერთი ტერმინოლოგიური გაუგებრობა მოხდეს. კერძოდ, ტერმინოელემენტი „დემო“ შეიძლება გავიგოთ როგორც დემოსიც და როგორც დემოგრაფიულიც. პირველ შემთხვევაში, დემოგეოგრაფია დემოსის გეოგრაფიას ნიშნავს და მოსახლეობის გეოგრაფიის იდენტური ცნებაა. მეორე შემთხვევაში კი – დემოგრაფიულ გეოგრაფიას აღნიშნავს და მოსახლეობას გეოგრაფიის მხოლოდ იმ ნაწილს მოიცავს, რომელიც უშუალოდ დემოგრაფიული პროცესების (შობადობა, სიკვდილიანობა, ქორწინება, განქორწინება, მოსახლეობის აღწარმოება, აგრეთვე სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა) ტერიტორიული გავრცელების კანონზომიერებებს შეისწავლის.

იმისათვის, რომ თავიდან ავიცილოთ აღნიშნული ტერმინოლოგიური არეულობა, ვამჯობინებთ გამოვიყენოთ ტერმინი მოსახლეობის ეთნოგეოგრაფია, რომელიც თავისი შინაარსით ერთმნიშვნელოვანია და არავითარ აღრევას ცნებებში არ გამოიწვევს, ხოლო მოსახლეობის ეთნოგეოგრაფიის იმ ნაწილის აღსანიშნავად, რომელიც შობადობას, სიკვდილიანობის, ქორწინება-განქორწინების და სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის გეოგრაფიის ეთნიკურ ასპექტებს სწავლობს გამოვიყენოთ ტერმინი დემოგრაფიული ეთნოგეოგრაფია.

გარდა *დემოგრაფიული ეთნოგეოგრაფიისა,* მოსახლეობის ეთნოგეოგრაფიის დარგებს

შეადგენს *მიგრაციების ეთნოგეოგრაფია, განსახლების ეთნოგეოგრაფია (ეთნიკური ეკისტიკა), ქალაქების ეთნოგეოგრაფია (ეთნიკური გეოურბანისტიკა)* და *სოფლების ეთნოგეოგრაფია (ეთნიკური გეორურალისტიკა)*.

დემოგრაფიული ეთნოგეოგრაფიის ამოცანაა შეისწავლოს შობადობის ეთნოგეოგრაფიული ასპექტები, სხვაობა შობადობის მაჩვენებლებს შორის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების მიხედვით და მისი ტერიტორიული გავრცელების თავისებურებები და კანონზომიერებები. აგრეთვე, სიკვდილიანობა ეთნოგეოგრაფიულ ჭრილში, ე. ი. გამოავლინოს კავშირი სიკვდილიანობის კოეფიციენტსა და ეთნიკურობას შორის და ამის შესაბამისად წარმოაჩინოს ეთნოსების ბუნებრივი მატების ტენდენციები. დემოგრაფიული ეთნოგეოგრაფია, ასევე, შეისწავლის ქორწინებისა და განქორწინების ეთნიკურ ასპექტებს, კერძოდ, შერეული ქორწინებების გავრცელების ტენდენციებს განსხვავებულ (მრავალეროვან და ერთენოვან) რაიონებში და განქორწინების სიხშირეს შერეულ და მინოეთნიკურ ოჯახებში. დაბოლოს, დემოგრაფიული ეთნოგეოგრაფიის ინტერესებში შედის მოსახლეობის დემოგრაფიული (სქესობრივ-ასაკობრივი) სტრუქტურის ანალიზი ცალკეული ეთნიკური ჯგუფებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

მიგრაციების ეთნოგეოგრაფია მოსახლეობის მექანიკური მოძრაობის ეთნიკური ასპექტების შემსწავლელი დარგია, რომელიც ცდილობს დაადგინოს სხვადასხვა ეთნოსების განსხვავებული მიგრაციული მობილობის მიზეზები, წარმოაჩინოს ცალკეული ეთნიკური ჯგუფების შიდა და გარე მიგრაციების ინტენსივობა და მიმართულებები და მათი გავლენა თვით ამ ეთნიკური ჯგუფების დინამიკაზე. მიგრაციების ეთნოგეოგრაფია სწავლობს, აგრეთვე, მიგრაციების გავლენას ეთნოგენეზისზე და ეთნიკური ასიმილაციის, მიქსაციის და სეპარაცია-პარციაციის პროცესებზე.

განსახლების ეთნოგეოგრაფია, რომელსაც მეორენაირად *ეთნიკური ეკისტიკა* შეიძლება ვუწოდოთ ეთნოსთა ტერიტორიული განლაგების თავისებურებებსა და კანონზომიერებებს შეისწავლის. იგი ემთხვევა ეთნოსების გეოგრაფიის ცნებას და, ამდენად, სწორედ ამ დარგს ეწოდებოდა ჩვენს ლიტერატურაში ეთნოგეოგრაფია (როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განსაკუთრებით გავრცელებული იყო ეთნოგეოგრაფიის ყველაზე ვიწრო – ეთნოსების გეოგრაფიის გაგებით ხმარება). განსახლების ეთნოგეოგრაფიის მიზანია შეისწავლოს ეთნოსთა განსახლების არეალები, გამოყოს ეთნიკური ტერიტორიები, ცალკეული ქვეყნების, რეგიონებისა და რაიონების მოსახლეობის ეთნიკური სტუქტურა, ტერიტორიული ერთეულების ეთნიკური მრავალფეროვნება და მოზაიკურობა (Брук С.И. 1964).

ქალაქების ეთნოგეოგრაფია *ეთნიკურ ასპექტში განხილული გეოურბანისტიკაა*, რომელიც შეისწავლის ურბანიზაციას და ქალაქების განვითარებას ეთნიკური კუთხიდან. ეთნიკური გეოურბანისტიკა ყურადღებას ამახვილებს იმ განსხვავებებზე, რაც დამახასიათებელია საქალაქო ცხოვრების წესის გავრცელებისათვის სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებში, თუ როგორ განსხვავდებიან ცალკეული ხალხები ერთმანეთისაგან ურბანიზაციის დონითა და ხარისხით, ქალაქური ცხოვრების ტრადიციებით. ასევე, ამ დარგის ინტერესების სფეროშია ქალაქების კლასიფიკაცია მოსახლეობის ეთნიკური სტრუქტურის მიხედვით, საქალაქო მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობა, ეთნიკური ფაქტორების როლი ქალაქების მიკროგეოგრაფიაზე, მის არქიტექტურულ იერსახეზე და ა. შ.

სოფლების ეთნოგეოგრაფია, ანუ *ეთნიკური გეორურალისტიკა* შეისწავლის სასოფლო განსახლების ეთნიკურ ასპექტებს, სოფლის მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურას, სოფლების კლასიფიკაციას მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობის მიხედვით, აგრეთვე, სოფლების ფუნქციური ტიპოლოგიის ეთნიკურ საფუძვლებს და ეთნიკური ფაქტორების გავლენას სასოფლო განაშენიანების ხასიათზე და სოფლების გარეგნულ სახეზე.

3. კულტურის ეთნოგეოგრაფია

კულტურა ერთ-ერთი ყველაზე უფრო ფართო და მრავალმნიშვნელოვანი ცნებაა. ზოგ შემთხვევაში კულტურა აერთიანებს ყველა-

ფერს, რაც ადამიანთა საზოგადოებასთან არის დაკავშირებული, ანუ მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებას და ადამიანთა მიერ შექმნილ ყველა მატერიალურ თუ სულიერ ღირებულებას. ასეთი გაგებით კულტურაა ყველაფერი ის, რაც თავისი წამოშობითა და განვითარებით ბუნების ქმნილება არ არის. შესაბამისად, კულტურის გეოგრაფია საზოგადოებრივი გეოგრაფიის სინონიმი იქნება, რადგან ეკონომიკა, პოლიტიკა თუ სოციალური ცხოვრება კულტურის ელემენტებად შეიძლება მივიჩნიოთ, ხოლო ეკონომიკური გეოგრაფია, პოლიტიკური გეოგრაფია და სოციალური გეოგრაფია – კულტურის გეოგრაფიის ნაწილებად.

მაგრამ, როგორც წესი, კულტურას ამ ძალიან ფართო მნიშვნელობით იშვიათად ხმარობენ. გაცილებით გავრცელებულია კულტურის ისეთი გაგება, რომელიც გულისხმობს ტრადიციულ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, ცხოვრების წესს და ქცევის სტერეოტიპებს და თავისი ფორმითაც და შინაარსითაც მკვეთრად გამოხატულ ეროვნულ ხასიათს ატარებს. ამიტომ კულტურის გეოგრაფია თავისთავად ეთნიკური კულტურების გეოგრაფიას ნიშნავს და თუ მაინც ტერმინ კულტურის ეთნოგეოგრაფიას ვიყენებთ, ეს იმიტომ, რომ ხაზი გაესვას კულტურის ეთნიკურ მრავალფეროვნებას და კულტურების ეთნიკურ ასპექტში კვლევის პრიორიტეტსა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, კულტურის გეოგრაფიაში ჩვენ არ განვიხილავთ ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ გეოგრაფიას, არამედ მხოლოდ იმ სფეროებზე ვამახვილებთ ყურადღებას, რომლებიც ეთნიკური კულტურის (როგორც მატერიალურის, ისე სულიერის) მკაფიო გამოხატულებაა.

ცივილიზაციების გეოგრაფია. ცივილიზაციის ცნება ზოგჯერ კულტურის სინონიმად იხმარება, მაგრამ ეს გამართლებული არ არის. კულტურისაგან განსხვავებით ცივილიზაცია უიშვიათესი გამონაკლისის გარდა (იაპონიის შემთხვევა) არასოდეს არ არის ეროვნული. იგი მონათესავე კულტურების ერთგვარი სინთეზია, რომელსაც საერთო ღირებულებითი სისტემა (როგორც წესი რელიგია) უდევს საფუძვლად. ამიტომ სწორია საუბარი ისლამურ, მართლმადიდებლურ, დასავლურ (კათოლიკურ-პროტესტანტურ), ინდურ, ბუდისტურ, ჩინურ (კონფუციანურ), ანტიკურ ცივილიზაციებზე, მაგრამ არა ქართულ, რუსულ თუ ფრანგულ ცივილიზაციაზე. გარდა ამისა, ცივილიზაცია საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ დონეს, საფეხურს აღნიშნავს. იგი არ დაიყვანება რელიგიაზე (თუმცა ეს უკანასკნელი უმთავრესი ფაქტორია) და მასთან ერთად გულისხმობს მეცნიერების, ფილოსოფიის, კულტურის ყველა სფეროს, რომლებიც ვლინდებიან საზოგადოების ცხოვრების წესში და ქცევის სტერეოტიპში და მოცემული ეტაპისთვის არის დამახასიათებელი. ცივილიზაციებს კარგად გამოკვეთილი სივრცითი სტრუქტურა ახასიათებს და მათი გავრცელება ტერიტორიულ კანონზომიერებებს ემორჩილება. ამიტომ იგი გეოგრაფიის კვლევის ინტერესებში ხვდება. ეთნოგეოგრაფიის ამოცანაა დაადგინოს კავშირი ცივილიზაციებსა და ეთნოსებს შორის და, ამასთანავე, მოახდინოს ცივილიზაციების იერარქიზაცია და ტიპოლოგია ტერიტორიული ერთეულების მიხედვით.

რელიგიების გეოგრაფია. რელიგია კულტურის ერთ-ერთი უმთავრესი, განმსაზღვრელი საფუძველია. იგი მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს არა მარტო მოსახლეობის სულიერ კულტურას, არამედ მატერიალური კულტურისა და მეურნეობის ბევრ ასპექტს. ამიტომ არ მიგვაჩნია სწორედ რელიგიების გეოგრაფიის დაყვანა მოსახლეობის რელიგიურ შემადგენლობაზე და მისი მოსახლეობის გეოგრაფიის ნაწილად მიჩნევა. იგი კულტურის გეოგრაფიის დარგად უნდა ჩაითვალოს, ხოლო რელიგიისა და ეთნოსებს შორის კავშირის დადგენა და მისი ტერიტორიული ანალიზი ეთნოგეოგრაფიის ერთ-ერთი დარგის, *ეთნოკონფესიური გეოგრაფიის* კვლევის საგანია.

სულიერი კულტურისა და ტრადიციების გეოგრაფია კულტურის გეოგრაფიის ის დარგია, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების სულიერი კულტურის, ფოლკლორის, მითოლოგიის, რიტუალების,

წეს-ჩვეულებების და სხვადასხვა ხალხური ტრადიციების გეოგრაფიულ თავისებურებებს. აქვე შედის არა მარტო ტრადიციული, არამედ თანამედროვე კულტურის (ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, მუსიკა და ა. შ.) გეოგრაფიული შესწავლა. ეთნოგეოგრაფიის ეს დარგი, განსაკუთრებით კი ტრადიციული კულტურის გეოგრაფია, ძირითადად, ეთნოგეოგრაფიულ მონაცემებს ეყრდნობა, ამიტომ იგი *მატერიალური კულტურის გეოგრაფიასთან* ერთად ქმნის ეთნოგეოგრაფიის ცალკე მიმდინარეობას, რომელსაც ჩვენ ეთნოგრაფიულ გეოგრაფიას ვუწოდებთ და რომელიც სხვადასხვა ხალხების მატერიალური და სულიერი კულტურის გეოგრაფიულ თავისებურებებს შეისწავლის.

მატერიალური კულტურის გეოგრაფია ეთნოგეოგრაფიის, კერძოდ, *ეთნოგრაფიული გეოგრაფიის* ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია, რომელიც შეისწავლის ტრადიციული მატერიალური კულტურის (საცხოვრებელი სახლები, ხალხური არქიიტექტურა, ტანსაცმელი, ტრადიციული სამზარეულო, ხალხური რეწვა და ა. შ.) გეოგრაფიული განლაგების თავისებურებებს და კანონზომიერებებს, კავშირს მატერიალურ კულტურასა და მოსახლეობის ეთნიკურ შემადგენლობას შორის, აგრეთვე, გეოგრაფიულ გარემოსა და ეთნიკური კულტურის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს (Keesing J. 1987).

მატერიალური კულტურის უმნიშვნელოვანესი სფეროა ტრადიციული მეურნეობა, ანუ სამეურნეო-კულტურული ტიპები. მაგრამ იმის გამო, რომ ეს დარგი უფრო ეკონომიკასთან არის დაკავშირებული, ჩვენ მას ეკონომიკური ეთნოგეოგრაფიის კომპეტენციას მივაკუთვნებთ და კულტურის ეთნოგეოგრაფიაში არ განვიხილავთ.

4. ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია

ეკონომიკური გეოგრაფია ძველი, საბჭოთა ტრადიციის მიხედვით მთელ საზოგადოებრივ გეოგრაფიას მოიცავდა. ეკონომიკის დარგების გეოგრაფია განიხილებოდა როგორც ბაზისი, რომელიც განსაზღვრავდა ზედნაშენს – პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების გეოგრაფიულ თავისებურებებს. ამჟამად, ეკონომიკური გეოგრაფია ასეთი ფართო გაგებით თითქმის აღარ იხმარება და იგი გაიგივებულია ეკონომიკის დარგების, კერძოდ, მატერიალური წარმოების სფეროს (მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, აგრეთვე ვაჭრობა) გეოგრაფიასთან. ამ ვიწრო მნიშვნელობას ვგულისხმობთ ჩვენც წინამდებარე სტატიაში.

მატერიალური წარმოების სფერო გარკვეულ კავშირშია მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურასთან. ჯერ ერთი, ყოველი ეთნოსი გარკვეულ ტერიტორიულ ერთეულში და განსაზღვრულ ლანდშაფტურ პირობებში ცხოვრობს და ეს ბუნებრივი პირობები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ კიდეც მეურნეობის ტიპსა და სტრუქტურას. მეორეც, ეროვნული და რელიგიური ტრადიციები მეურნეობის ზოგიერთი დარგის განვითარების ხელშემწყობი ან ხელშემშლელი ფაქტორია. სწორედ ასეთი კავშირურთიერთობების გამოვლენა, ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეზე და მეურნეობის სტრუქტურაზე ეთნიკური ფაქტორების როლის განსაზღვრა და, საერთოდ, ეკონომიკის სივრცობრივი სტრუქტურის ეთნიკური ასპექტების შესწავლა შეადგენს ეკონომკური ეთნოგეოგრაფიის კვლევის საგანს.

ეკონომიკური ეთნოგეოგრაფია ეთნიკურ ჭრილში განხილული ეკონომიკური გეოგრაფიაა. მის შემადგენელ ელემენტებად შეიძლება მოვიაზროთ შემდეგი დარგები:

ტრადიციული მეურნეობის გეოგრაფია, ანუ სამეურნეო-კულტურული ტიპების გეოგრაფია. ეს დარგი გარდამავალია კულტურის გეოგრაფიასა და ეკონომიკურ გეოგრაფიას შორის. იგი შეისწავლის ცალკეული ეთნოსების ძველ, ტრადიციული მეურნეობის ტიპს (ბუნებრივია, აქ თანამედროვე მრეწველობა და სოფლის მეურნეობა არ შეიძლება იგულისხმებოდეს) და მათი გეოგრაფიული გავრცელების კანონზომიერებებს. ტრადიციულად გამოიყოფა სამეურნეო-კულტურული ტიპების სამი ჯგუფი: ა) შემგროვებლობა, ნადირობა, თევზჭერა; ბ) ხელის, ანუ კავური მიწათმოქმედება; გ) გუთნური, ანუ სახნავი მი-

წათმოქმედება. თითოეულ მათგანში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი (სულ 20) ბუნებრივი ზონებისა და ლანდშაფტური პირობების მიხედვით. ნებისმიერი ეთნოსი ხვდება ერთ (იშვიათად ორ) სამეურნეო-კულტურულ ტიპში. თითოეულ ტიპში შესაძლებელია გამოიყოს კიდევ ქვეტიპები და ლოკალური ნიშნები, რომლებსაც საკმაოდ მკვეთრად გამოხატული გეოგრაფიული კანონზომიერებები ახასიათებთ და, როგორც წესი, სუბეთნოსებისა და ეთნოგრაფიული ჯგუფების განსახლების არეალებს შეესაბამება (Чебоксаров Н.Н, Чебоксарова И. А. 1985). სწორედ სამეურნეო-კულტურული ტიპების, ლანდშაფტებისა და ეთნოსთა განსახლების ურთიერთკავშირს შეისწავლის ტრადიციული მეურნეობის ეთნოგეოგრაფია.

ამავე დარგს უნდა მივაკუთვნოთ **ბუნებათსარგებლობის ეთნოგეოგრაფია (ეთნიკური ეკოლოგია),** რომელიც შეისწავლის ბუნებათსარგებლობის ეთნიკურ ასპექტებს გეოგრაფიულ ჭრილში და გარემოს დაცვის ხალხურ ტრადიციებს სხვადასხვა ლანდშაფტში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფების მხრიდან (Environmentalism and Cultural Theory 1996). აღნიშნული საკითხების ისტორიულ ასპექტში განხილვა კიდევ ერთ სამეცნიერო მიმართულებს გვაძლევს, რომელსაც ეთნოეკოლოგიური ისტორია შეიძლება ვუწოდოთ (Ponting C 1991).

მატერიალური წარმოების ეთნოგეოგრაფია შეისწავლის თანამედროვე მეურნეობის დარგების გეოგრაფიას ეთნიკური ასპექტით. მას აინტერესებს დაადგინოს არის თუ არა კავშირი მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ სტრუქტურას, მათ ეროვნულ და კონფესიურ კუთვნილებას შორის ერთი მხრივ და, მეორე მხრივ, მრეწველობის განვითარების დონესა და მის დარგობრივ შემადგენლობას, სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის, სტრუქტურისა და განვითარების დონეს, სატრანსპორტო ქსელის სიხშირისა და ხასიათის მდგომარეობას შორის. შეიძლება თუ არა ეთნიკური და რელიგიური ფაქტორებით აიხსნას მეურნეობის დარგების სწრაფი განვითარება ზოგიერთ ქვეყანაში და კატასტროფული ჩამორჩენა სხვა ქვეყნებში? ყოველივე ეს ფაქტობრივად შეუსწავლელია, არადა მისი აქტუალობა სადავო არ უნდა იყოს.

ეკონომიკური განვითარების ეთნოგეოგრაფია თითქოს მატერიალური წარმოების ეთნოგეოგრაფიის ზედა, ინტეგრალური დონეა. იგი ეთნიკური კუთხით შეისწავლის განსხვავებებს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური განვითარების დონეებს შორის. ცდილობს დაადგინოს დამოკიდებულება მოსახლეობის ეთნიკურ და რელიგიურ კუთვნილებასა და ეროვნული შემოსავლის, შიდა ერთობლივი და ერთობლივი ეროვნული პროდუქტის სიდიდეებს შორის, ახსნას ეკონომიკური წარმატება თუ ჩამორჩენა სხვადასხვა ფაქტორებით, რომლებიც ეროვნულ და რელიგიურ ტრადიციებთანაა დაკავშირებული.

5. სოციალური ეთნოგეოგრაფია

ისევე როგორც ეკონომიკური გეოგრაფია, სოციალური გეოგრაფიაც ზოგჯერ ფართო მნიშვნელობით გამოიყენება და მთელი საზოგადოებრივი გეოგრაფიის სინონიმია. მაგრამ, როგორც წესი, იგი ვიწრო მნიშვნელობით იხმარება და უშუალოდ სოციალური მოვლენების გეოგრაფიას გულისხმობს. ამ თვალსაზრისით სოციალური გეოგრაფია იმავე იერარქიული დონისა და რანგის მეცნიერებაა, როგორც ეკონომიკური გეოგრაფია ანდა პოლიტიკური გეოგრაფია.

სოციალური ცხოვრება, სოციალური პროცესები და პირობები, სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან შედარებით, ყველაზე უფრო მჭიდროდაა დაკავშირებული მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურასთან და ეთნიკურ პროცესებთან. ამიტომ სოციოლოგიისა და ეთნოლოგიის მიჯნაზე უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა და დინამიკურად ვითარდება სპეციალური მეცნიერება ეთნოსოციოლოგია. იგივეს ვერ ვიტყვით ეთნოეკონომიკის ან ეთნოპოლიტოლოგიის შესახებ, რომლებიც, როგორც მეცნიერებები, ახლა იდგამენ ფეხს.

რაც შეეხება სოციალურ ეთნოგეოგრაფიას, იგი სრულიად ახალგაზრდა მეცნიერებად უნდა ჩაითვალოს. იგი ეთნიკურ ასპექტში განხილული სოციალური გეოგრაფიაა და ცდილობს დაადგინოს სხვადასხვა ეთნოსების

სოციალური ცხოვრების ტერიტორიული გავრცელების თავისებურებები და კანონზომიერებები. ისევე როგორც ეთნოგეოგრაფიის სხვა განშტოებები, სოციალური ეთნოგეოგრაფიაც რამდენიმე დარგად იყოფა, რომლებიც სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროს შეისწავლიან.

ცხოვრების დონის ეთნოგეოგრაფია. სოციალური ეთნოგეოგრაფიის ეს დარგი ყველაზე ახლოს დგას ეკონომიკურ ეთნოგეოგრაფიასთან, კერძოდ ამ უკანასკნელის ერთ-ერთ დარგთან – ეკონომიკური განვითარების ეთნოგეოგრაფიასთან. ეკონომიკური კეთილდღეობა (ეროვნული შემოსავალი, შიდა ერთობლივი პროდუქტი და ა. შ.) ცხოვრების დონის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. ცხოვრების დონე გაცილებით რთული კატეგორიაა და, გარდა მატერიალური შემოსავლისა, გულისხმობს საბინაო პირობების ხარისხს, კომუნალური პირობების დონეს, მოსახლეობის საკუთარი ავტომობილებით, ტელეფონებით, ტელევიზორებით და სხვა საოჯახო ხელსაწყოებით უზრუნველყოფის მაჩვენებელს, განათლების დონეს, ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობას, დასვენებისა და გართობის შესაძლებლობას და პირობებს, კრიმინოგენურ სიტუაციას, გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის ხარისხს და ა. შ. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით და შეფასებით დგინდება ცხოვრების დონის ზოგადი მაჩვენებელი, რაც საკმაოდ განსხვავდება ცალკეულ ხალხებსა და ქვეყნებს შორის და, ამდენად, ეთნიკური და გეოგრაფიული ხასიათი გააჩნია.

არამატერიალური სფეროს ეთნოგეოგრაფია შეისწავლის განათლების, მეცნიერების, კულტურული მომსახურეობის, ჯანმრთელობის დაცვის გეოგრაფიას ეთნიკურ ჭრილში. მისი ამოცანაა დაადგინოს ეთნიკურ კუთვნილებასა და განათლების დონეს შორის ურთიერთდამოკიდებულება; მეცნიერების, განათლების, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების ტერიტორიული განლაგების თავისებურებები სხვადასხვა ქვეყანასა თუ რეგიონში და მათი კავშირი მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობასთან. აგრეთვე, ახსნას არამატერიალური სფეროს არათანაბარი განვითარების მიზეზები.

სოციალური დაძაბულობის ეთნოგეოგრაფია ეთნიკურ ჭრილში იკვლევს უმუშევრობის, სიღარიბის, შიმშილის, უსახლკარობის, დანაშაულის გეოგრაფიის ძირითად პრობლემებს. ამ დარგის ამოცანაა დაადგინოს არის თუ არა რაიმე კავშირი სოციალურ პრობლემებსა და მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურას შორის. შეიძლება თუ არა რაიმე კანონზომიერებების დანახვა ვთქვათ, დანაშაულის გეოგრაფიას და ეთნიკურ გეოგრაფიას შორის და ა. შ. ფაქტია, რომ სოციალურ დაძაბულობებს საკმაოდ ნათლად გამოხატული გეოგრაფიული და ეთნიკური სახე გააჩნიათ და მათი შესწავლის აუცილებლობა სადავო არ უნდა იყოს.

ეთნოსოციალური პროცესების გეოგრაფია სოციალური ეთნოგეოგრაფიის სპეციფიკური დარგია, რომელიც გეოგრაფიული კუთხით შეისწავლის ეთნოსოციალურ პროცესებს – ენობრივ ურთიერთობებს, ეთნოფსიქოლოგიურ ცვლილებებს, მატერიალური და სულიერი კულტურის ტრანსფორმაციას, აგრეთვე, ეთნოდემოგრაფიულ პროცესებს და ოჯახური ურთიერთობების თავისებურებებს მრავალეროვან საზოგადოებაში. ამ საკითხების გეოგრაფიული ანალიზისა და, განსაკუთრებით, კარტოგრაფირების შემდეგ იქმნება მკაფიო წარმოდგენა ეთნოსოციალური პროცესების ინტენსივობისა და თავისებურებების შესახებ სხვადასხვა ქვეყანასა და რეგიონში და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით. ეთნოსოციალური პროცესების გეოგრაფია, ძირითადად, ეყრდნობა კონკრეტული ეთნოსოციოლოგიური კვლევის შედეგებს, რომელიც მრავალეროვან რაიონებში ტარდება და საკმაოდ ამომწურავ ინფორმაციას იძლევა.

6. პოლიტიკური ეთნოგეოგრაფია

პოლიტიკური ეთნოგეოგრაფია ეთნიკურ ასპექტში განხილული პოლიტიკური გეოგრაფიაა. მისი ამოცანაა დაადგინოს ის ურთიერთკავშირები და კანონზომიერებები, რომლებიც არსებობს, ერთი მხრივ, მოსახლეობის ეთნიკურ სტრუქტურასა და ეთნიკურ

პროცესებსა და, მეორე მხრივ, პოლიტიკურ პროცესებსა და მოვლენებს შორის მათი სივრცითი (ტერიტორიული) გავრცელების თვალსაზრისით.

ეთნიკური ფაქტორი ძალიან დიდ როლს თამაშობს თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში. „ცივი ომის“ დამთავრების შემდეგ, საერთაშორისო სისტემის უმთავრეს პრობლემად ეთნოკონფლიქტები იქცა. ეს პრობლემა უკვე გლობალურ ხასიათს ატარებს და ცალკეული ქვეყნების საშინაო საქმეებად მათი მიჩნევა სერიოზული შეცდომაა. გარდა ამისა, ზოგიერთი ავტორის აზრით, XXI საუკუნის საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი თავისებურება იქნება ძალთა წონასწორობის ისეთი სურ““ათი, როცა „ძალის პოლუსები“ ეთნიკურ და რელიგიურ ერთობაზე დაფუძნებული ცივილიზაციები იქნება და სწორედ „ცივილიზაციათა შეჯახება“ იქნება მომავლის საერთაშორისო ურთიერთობების არსი (ს. ჰანტინგტონი 2001).

ყოველივე აქედან გამომდინარე, პოლიტიკური პროცესების ეთნოგეოგრაფიული შესწავლის საჭიროება სადავო არ უნდა იყოს. თუმცა პოლიტიკური ეთნოგეოგრაფია, როგორც მეცნიერება, ჯერ მხოლოდ ახლა ყალიბდება, მაგრამ უკვე შესაძლებელია მის სტრუქტურაზე საუბარი და შემდგენელ დარგებად დიფერენციაცია.

არჩევნების ეთნოგეოგრაფია ეთნიკური კუთხით განხილული ელექტორალური გეოგრაფიაა. მისი ამოცანაა დაადგინოს კავშირი მოსახლეობის განსახლების ეთნიკურ სურათსა და პოლიტიკურ ძალთა განლაგებას შორის. ახსნას მიზეზები თუ რატომაა ესა თუ ის პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკური ძალები პოპულარული ერთ ეთნიკურ ჯგუფში და მიუღებელი მეორეში. როგორი ტენდენციებია დამახასიათებელი არჩევნების ეთნოგეოგრაფიული სურათისათვის და როგორია მომავლის პროგნოზები.

შიდა ეთნოპოლიტიკური პროცესების გეოგრაფია, რომელსაც მეორენაირად *მინინაციონალიზმის გეოგრაფია* შეიძლება ვუწოდოთ, შეისწავლის რეგიონალიზმის, ტრაიბალიზმის, ირედენტიზმისა და სეპარატიზმის გეოგრაფიულ კანონზომიერებებს. ამავე დარგს მიეკუთვნება ეთნოკონფლიქტების, როგორც შიდა ეთნოპოლიტიკური დაძაბულობის უკიდურესი ფორმის გამოვლინების გეოგრაფია.

მაკრონაციონალიზმის გეოგრაფია, ანუ ეთნიკური გეოპოლიტიკა სწავლობს პანნაციონალისტური იდეების (პანსალავიზმი, პანგერმანიზმი, პანისლამიზმი, პანთურქიზმი, ევრაზიანიზმი და ა. შ.) გეოპოლიტიკურ მიზნებს, საერთაშორისო ურთიერთობების, კერძოდ დაპირისპირებებისა და თანამშრომლობის ეთნიკურ ასპექტებს, რელიგიური და ეთნიკური ხასიათის პოლიტიკურ ორგანიზაციებს და ა. შ.

სამართლის ეთნოგეოგრაფია თავისებური ნეოლოგიზმია, რადგან სამართლის გეოგრაფია, როგორც ასეთი, ჯერ არ ჩამოყალიბებულა. იგი ახლოს არის პოლიტიკურ გეოგრაფიასთან, თუმცა მის ნაწილს არ შეადგენს. სამართლის გეოგრაფიის ამოცანაა გეოგრაფიული კუთხით შეისწავლოს სამართლებრივი სისტემები, სახელმწიფო მმართველობის ფორმები, ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა და კონსტიტუციური სამართლის სხვა საკითხები. სამართლის ეთნოგეოგრაფია კი აღნიშნულ საკითხებს განიხილავს ეთნიკური თვალსაზრისით და ადგენს კავშირს ეთნოსსა და სამართლებრივ ნორმებს შორის გეოგრაფიულ ასპექტში.

დასკვნები

ეთნოგეოგრაფია მრავალმხრივი და საინტერესო სამეცნიერო დისციპლინაა. მისი კვლევის ობიექტი გეოგრაფიის, ისტორიის, ეკონომიკის, სოციოლოგიის, კულტურის თუ პოლიტიკის არაერთ მიმართულებას უკავშირდება და რეალურად განსხვავდება ჩვენ მიერ გამოყოფილი ექვსი მიმართულებისაგან. გეოგრაფიული მეცნიერება სრულიად საკმარისია, რომ მთლიანად მოიცვას ექვსივე განხილული მიმართულება. ეთნოგეოგრაფია თავისთავად არის ეთნიკურ ასპექტში განხილული გეოგრაფია და, ამდენად, იგი ეთნიკურ ასპექტში განიხილავს ეკონომიკურ გეოგრაფიას, პოლიტიკურ გეოგრაფიას, სოციალურ გეოგრაფიასა და სხვა გეოგრაფიულ მიმართულებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. დავითაშვილი, მოსაზღვრე მეცნიერებების ცნებით-ტერმინოლოგიური თავისებურებები (გეოგრაფიის მაგალითზე). საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. ახალი სერია II (XX) თბ., 2020, გვ. 81-87.
2. ზ. დავითაშვილი, გეოგრაფიული გარემოს როლი ეთნოგენეზისსა და ეთნიკურ ისტორიაში. საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების შრომები. ახალი სერია III (XXI) თბ., 2022, გვ. 84-93.
3. ს. ჰანტინგტონი, პოლიტიკური სტატიები. თბ., 2001, გვ.7-45.
4. Брук С.И., Основные проблемы этнической географии. Автореферат докторской диссертации. Москва. 1964.
5. Гумилев Л.Н., География этноса в исторический период. Ленинград,1990.
6. Гумилев Л.Н., Этногенез и биосфера земли. Москва, 1994.
7. Чебоксаров Н.Н., Чебоксарова И.А., Народы, расы, культуры. Москва, 1985.
8. Environmentalism and Cultural Theory. New York, 1996.
9. Keesing J., Cultural Anthropology. New York, 1987.
10. Ponting C., A Green History of the World. New York, 1991.